საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6480
28/10/2022

6480-21-2-202210281744

შპს „მტკვარი ჰესს“
მის: ქ. თბილისი, ე. ახვლედიანის ხევი 3
ელ. ფოსტა: lgorgiladze@hpp.ge
სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი N5219 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზიკილიას და წინუბანის მიმდებარედ მტკვარი ჰესის 220 კვ ძაბვის ქვესადგურის და 500 კვ ძაბვის ქვესადგურ „ახალციხის“ დამაკავშირებელი 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- 2021 წლის 24 აგვისტოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, ახალციხის მუნიციპალიტეტში, შპს „მტკვარი ჰესის“ მტკვარი ჰესის 220 კვ ძაბვის ქვესადგურის და 500 კვ ძაბვის ქვესადგურ „ახალციხის“ დამაკავშირებელი 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება N2-1281), რომელიც ითვალისწინებს წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მოცემული N4, N5, N6, N7 საყრდენების ცვლილებას, რაც ასახული უნდა იყოს წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი საყრდენების (ყველა საყრდენი) განთავსების GPS კოორდინატები არ ემთხვევა სკრინინგის განცხადებას თანდართულ Shp ფაილებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული

შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო